საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

# ბრძანება

ქ. თბილისი

N 335-03
02/03/2022

**2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსი“-ს არჩევის რეჟიმის ჩართვისა და დახურვის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, მე-19 მუხლის და მე–20 მუხლის 1–ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესი და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის N154/ნ ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილის, ირინა ბაზღაძის 2022 წლის 28 თებერვლის N1891-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

**ვბრძანებ**

1. 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსი“-ს არჩევის რეჟიმი ჩაირთოს შემდეგი განრიგით:

ა) 11 მარტი 12:00 საათი - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის, ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტის, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (I-VI კლასები) ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის და სამართლის სკოლის I კურსის სტუდენტებისათვის;

ბ) 11 მარტი 15:00 საათი - სამართლის სკოლის მე-2, მე-3, მე-4 და დამატებითი წლის სტუდენტებისათვის;

გ) 14 მარტი 12:00 საათი - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მე-2, მე-3, მე-4 და დამატებითი წლის სტუდენტებისათვის;

გ) 14 მარტი 15:00 საათი - ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტის მე-2, მე-3, მე-4 და დამატებითი წლის სტუდენტებისათვის;

დ) 15 მარტი 12:00 საათი - სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისათვის;

ე) 15 მარტი 15:00 საათი - სადოქტორო საფეხურისა და მასწავლებლის მომზადების საგანმანთლებლო პროგრამების სტუდენტების/პირებისათვის;

ვ) 15 მარტი 17:00 საათი - ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამაზე ჩარიცხულ პირთათვის.

2. 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“-ს არჩევის რეჟიმი დაიხუროს 2022 წლის 26 მარტს 18:00 საათზე;

3. სტუდენტებს, რომლებსაც უნივერსიტეტის მიმართ ექნებათ ფინანსური დავალიანება შეეზღუდებათ სისტემა „არგუსზე“ წვდომა;

4. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის სტუდენტებს, 2022 წლის 29 მარტს შეუჩერდეთ სტუდენტის სტატუსი:

ა) სტუდენტები, რომელთაც 2022 წლის 29 მარტის მდგომარეობით ერიცხებათ ფინანსური დავალიანება;

ბ)სტუდენტები, რომლებიც 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ამ ბრძანებით დადგენილ ვადებში არ დარეგისტრირდებიან კურსებზე/კომპონენტებზე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსში“;

გ) 2005 წლიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ სტუდენტებს, რომელთა ჩარიცხვიდან გასულია შესაბამისი აკადემიური საფეხურის დასრულების ოფიციალური ვადა, არ აქვთ სრულად დაძლეული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნები და უნივერსიტეტში მოქმედი წესით არ მიუმართავთ სწავლის გაგრძელების თხოვნით;

5. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

6. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი“-ს საშუალებით;

7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ყველა ფაკულტეტს/სკოლას, რექტორის აპარატს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, ადმინისტრაციის სამდივნოს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი